"ევროპული მოხალისეობრივი სერვისი - ევროპული ღირებულება"
აგვისტო-დეკემბერი 2010 წელი. დაფინანსებული ევრო კომისიის მიერ "ახალგაზრდობა მოქმედებაში" პროგრამის ფარგლებში

სააგენტოების ასოციაციისა და სააგენტოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში 2010 წლის 24-30 სექტემბერს ქუთაისში გაიმართა საერთაშორისო ახალგაზრდული შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღოO11 სხვადასხვა ქვეყნის 35 წარმომადგენელმა. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო ევროპული მოხალისეობრივი სერვისის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და გამოცდილების გაზიარება ევროპისა და კავკასიის რეგიონის ქვეყნების წარმომადგენლებს შორის. პროექტის ფარგლებში ასევე მოხდა მონაწილე ორგანიზაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება სამომავლო პროექტების მომზადებისა და განხორციელების შესახებ.
შეხვედრის მონაწილეთა მიერ მომზადებული ახალი ერთობლივი პროექტი დაფინანსებული იქნა ევრო კომისიის მიერ და მას 2011 წლის ზაფხულში იტალიური ორგანიზაცია "არკობალენო" და ქალაქი ლეჩე უმასპინძლებს.